

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„მმართველობის მონიტორინგის ცენტრი“

წესდება

ქ. თბილისი

2020 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
"მმართველობის მონიტორინგის ცენტრი" (ს/კ:404540074)

წესდება

1. მუხლი. სტატუსი და უფლებამოსილება

- 1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "მმართველობის მონიტორინგის ცენტრი" (შემდგომში – „საზოგადოება“) წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.
- 1.2 საზოგადოების სრული სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - "მმართველობის მონიტორინგის ცენტრი", შემოკლებით: ქართულად: "მმართველობის მონიტორინგის ცენტრი". ინგლისურად: "Governance Monitoring Center"
- 1.3 საზოგადოება მისი რეგისტრაციის მომენტიდან წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს საანგარიშსწორებო ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და იურიდიული პირისათვის აუცილებელი სხვა ატრიბუტიკა.
- 1.4 საზოგადოება უფლებამოსილია საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და იკისროს მოვალეობები, დადოს ხელშეკრულებები, გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ სასამართლოში.
- 1.5 საზოგადოების ვალდებულებებისათვის მისი წევრები/დამფუძნებლები/ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს არ აგებენ, ისევე როგორც საზოგადოება არ აგებს პასუხს მისი წევრების/დამფუძნებლების/ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად შეძენილი ვალდებულებებისათვის.
- 1.6 საზოგადოების ადგილსამყოფელია (იურიდიული მისამართი): საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დიმიტრი უზნაძის ქ., № 12, ბინა 27, ლიტ."ა".
- 1.7 საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
- 1.8 საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართია: gmc.georgia@yahoo.com

2. მუხლი. საზოგადოების მიზნები და საქმიანობის საგანი

2.1 საზოგადოების მიზნებია:

- 2.1.1 დემოკრატიულ ღირებულებებსა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ხელშეწყობა;
- 2.1.2 ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და ხელშეწყობა;

- 2.1.3 სახელმწიფო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობა;
 - 2.1.4 სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და გამჭვირვალედ ხარჯვის ხელშეწყობა;
 - 2.1.5 საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და საჯარო პოლიტიკის საკითხების შესახებ;
 - 2.1.6 სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის სასარგებლო და ინოვაციური იდეების დანერგვა და ხელშეწყობა.
 - 2.1.7 საარჩევნო მონიტორინგი
- 2.2 დასახული მიზნების მისაღწევად საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი (მათ შორის დამხმარე ხასიათის) საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული კანონით.
- 2.3 საზოგადოება უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს წინამდებარე მუხლში მითითებული მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება საზოგადოების დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

3. მუხლი. საზოგადოების დამფუძნებლები

3.1 საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

- ზაზა აბაშიძე, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1992 წლის 21 სექტემბერს ქ.თბილისში; მცხოვრები ქალაქ თბილისში, დ.უზნაძის N12, ბინა 27; პ/ნ 01030053307;
- შოთა დიდმელაშვილი, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1986 წლის 17 ივნისს ქ.თბილისში; მცხოვრები ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. VI კვარტალი, კორპუსი N25, ბინა N60; პ/ნ 01009018045;
- გიორგი ნონიაშვილი - საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1992 წლის 7 ნოემბერს ქ.თბილისში; მცხოვრები ქალაქ თბილისში, ნ.ხუდადოვის N80, ბინა 25ა; პ/ნ 01030036897;
- ირაკლი დათუნაშვილი - საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1983 წლის 2 დეკემბერს ქ.თბილისში; მცხოვრები ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი N34, ბინა 6; პ/ნ 01023008205;
- გოგი ზოიძე, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1992 წლის 27 სექტემბერს დაბა შუახევში; მცხოვრები ქალაქ ბათუმში, ლერმონტოვის ქ. N14ბ; პ/ნ 61001075579

4. მუხლი. საზოგადოების მართვა

4.1 საზოგადოების მართვის ორგანოებია: გამგეობა და დირექტორი.

- 4.2 საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი.
- 4.3 საზოგადოებას შესაძლებელია ყავდეს ერთი ან ერთზე მეტი დირექტორი. იმ შემთხვევაში თუ კი საზოგადოებას ყავს ერთზე მეტი დირექტორი, ისინი საზოგადოების წარმომადგენლობისა და ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას ახორციელებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე.

5. მუხლი. გამგეობა

- 5.1 გამგეობა წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელიც შედგება არაუმეტეს 7 წევრისგან.
- 5.2 გამგეობის წევრის დანიშვნის და მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს თავად გამგეობა, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.
- 5.3 გამგეობის ახალი წევრის უფლებამოსილება იწყება, ხოლო ყოფილი წევრის უფლებამოსილება წყდება გამგეობის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

6. მუხლი. გამგეობის უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღების წესი

- 6.1 გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:
 - 6.1.1 საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანა.
 - 6.1.2 საზოგადოების გამგეობის წევრების დანიშვნა და განთავისუფლება.
 - 6.1.3 საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
 - 6.1.4 გამგეობის წევრებიდან გამგეობის თავმჯდომარის დანიშვნა ან მისი განთავისუფლება.
 - 6.1.5 საზოგადოების განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცება.
 - 6.1.6 საზოგადოების ბიუჯეტის დამტკიცება.
 - 6.1.7 თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საზოგადოების დირექტორ(ებ)ს, წყვეტს მისი შრომის ანაზღაურების საკითხს.
 - 6.1.8 ისმენს და ამტკიცებს საზოგადოების დირექტორ(ებ)ის წლიურ პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშებს.
 - 6.1.9 ამტკიცებს საზოგადოების ემბლემას, ლოგოტიპს და სხვა სიმბოლოებს.
 - 6.1.10 წყვეტს საზოგადოების კოალიციებში, რეგისტრირებულ ორგანიზაციებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს
 - 6.1.11 უფლებამოსილია შეაჩეროს ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს დირექტორის მიერ მიღებული ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და წინამდებარე წესდება.
 - 6.1.12 საჭიროების შემთხვევაში, გამგეობის სხდომებზე იწვევს და ისმენს საზოგადოების ნებისმიერი თანამშრომლის, პროგრამების/პროექტების ხელმძღვანელების, საზოგადოების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების, საზოგადოების ფილიალებისა და წარმომადგენლობების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების ანგარიშებს.

- 6.1.13 დირექტორის წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოების რეგიონული ერთეულების შექმნისა და გაუქმების შესახებ, ამტკიცებს მათ დებულებებს და ხელმძღვანელებს.
- 6.1.14 წყვეტს საზოგადოების საკუთრებაში არსებული მოძრავ-უმძრავი ქონების რეალიზაციის ან/და უფლებრივად დატვირთვის საკითხებს.
- 6.1.15 იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურული ორგანოს შექმნის და მისი უფლებამოსილებისა და მუშაობის წესის შესახებ.
- 6.1.16 ახორციელებს წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს აგრეთვე იმ უფლებამოსილებებს რაც ამ წესდებით არ განეკუთვნება დირექტორის ან სხვა ორგანოს კომპეტენციას.
- 6.2 გამგეობის სხდომების ჩატარების პერიოდულობა, აგრეთვე მისი მოწვევისა და ჩატარების წესი და მის მუშაობასთან დაკავშირებული ორგანიზაციული დეტალები განისაზღვრება თავად გამგეობის მიერ.
- 6.3 გამგეობა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, ხოლო გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმა აქვს გამგეობის თავჯდომარის ხმას.
- 6.4 გამგეობის სხდომა შეიძლება ჩატარდეს ან მასში გამგეობის წევრმა მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების (ინტერნეტი, ტელეფონი და სხვ.) გამოყენებით (ვიდეო კონფერენცია), გამოხატოს პოზიცია განსახილველი საკითხის შესახებ და ამ სახით მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ წესდებით გადაწყვეტილების მისაღებად გათვალისწინებული არ არის ფარული კენჭისყრის ჩატარება. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გამონაკლის შემთხვევაში, გამგეობის გადაწყვეტილება შესაძლებელია მიღებულ იქნეს სხდომის ჩატარების გარეშე, გამგეობის წევრთა უმრავლესობის მიერ გამგეობის გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერის გზით. ასეთ შემთხვევაში შესაბამის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაცია (მასალები) გამგეობის წევრებს ეგზავნებათ ხელმოწერამდე 1 კვირით ადრე.
- 6.5 გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა გამგეობის თავჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის მინიმუმ 3 წევრის მოთხოვნით.
- 6.6 გამგეობის წევრებს ჩატარების თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ეცნობებათ სხდომამდე 7 (შვიდი) დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში მოწვევისთანავე.
- 6.7 გამგეობის წევრს უფლება აქვს წერილობით ან/და ელექტრონული საშუალებების გამოყენებით (ელექტრონული ფოსტა და სხვა) გამოხატოს პოზიცია განსახილველი საკითხის შესახებ და ამ სახით მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით გამგეობა უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ წესდებით გადაწყვეტილების მისაღებად გათვალისწინებული არ არის ფარული კენჭისყრის ჩატარება.
- 6.8 გამგეობის წევრს ვადაზე ადრე, ავტომატურად უწყდება უფლებამოსილება გარდაცვალების შემთხვევაში და აგრეთვე, თუ არასაკმატო მიზეზით ზედიზედ 6 (ექვსი) თვის მანძილზე არ ღებულობს მონაწილეობას გამგეობის სხდომებში.

- 6.9 გამგეობის წევრს ვადაზე ადრე უწყდება უფლებამოსილება მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საზოგადოების საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისთვის. წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის და მის ნაცვლად გამგეობის ახალი წევრის დანიშვნის გადაწყვეტილებას იღებს თავად გამგეობა.
- 6.10 გამგეობის გადაწყვეტილებას (ოქმს) ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე.
- 6.11 გამგეობის წევრებს და გამგეობის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს იმავდროულად ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მათ მიერ უფლებამოსილებათა განხორციელებას, მათ შორის ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.

7. მუხლი. გამგეობის თავმჯდომარე

- 7.1 გამგეობის თავმჯდომარეს 3 წლის ვადით ირჩევს თავად გამგეობა.
- 7.2 გამგეობის თავმჯდომარეს კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყოველ წევრს.
- 7.3 გამგეობის თავმჯდომარეს უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება შესაბამისად ახალი გამგეობის თავმჯდომარეს არჩევამდე.
- 7.4 გადადგომის შემთხვევაში ახალი გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა 7 დღის ვადაში
- 7.5 გამგეობის თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საზოგადოების საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია არანაკლებ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა 7 დღის ვადაში ირჩევს ახალ გამგეობის თავმჯდომარეს.
- 7.6 გამგეობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს, ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს/მოადგილეებს 1 წლის ვადით, გამგეობის თანხმობით.

8. მუხლი. საზოგადოების დირექტორი

- 8.1 საზოგადოების დირექტორი წარმოადგენს საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს
- 8.2 დირექტორი აირჩევა გამგეობის მიერ. დირექტორის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყოველ წევრს.
- 8.3 დირექტორი უფლებამოსილია:
 - 8.3.1 უზრუნველყოს საზოგადოების საწესდებო მიზნების განხორციელება;
 - 8.3.2 განიხილოს და დაამტკიცოს საზოგადოების საქმიანობის სხვადასხვა პროექტები;
 - 8.3.3 განსაზღვროს საზოგადოების ოფიციალური ელ-ფოსტა და იურიდიული მისამართი.
 - 8.3.4 დაამტკიცოს საზოგადოების თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების საშტატო ერთეულები და სახელფასო პოლიტიკა;
 - 8.3.5 წარმართოს საზოგადოების ლიკვიდაცია;
 - 8.3.6 დაამტკიცოს საზოგადოების ბეჭდის, შტამპისა და წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშები;

- 8.3.7 გადაწყვიტოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, თუ იგი არ განეკუთვნება საზოგადოების გამგეობის კომპეტენციას.
 - 8.3.8 წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობისას;
 - 8.3.9 ზედამხედველობს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;
 - 8.3.10 ხელს აწერს საზოგადოების ოფიციალურ დოკუმენტებს, მათ შორის ფინანსურ და საბანკო დოკუმენტაციას;
 - 8.3.11 ნიშნავს და ათავისუფლებს საზოგადოების პასუხისმგებელ პირებს
 - 8.3.12 ახდენს საკუთარი უფლებამოსილებების დელეგირებას.
 - 8.3.13 ნიშნავს დირექტორის მოადგილეს/მოადგილეებს 1 წლის ვადით, გამგეობის თანხმობით. დირექტორი ათავისუფლებს თავმჯდომარის მოადგილეს/ მოადგილეებს მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საზოგადოების საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისთვის გამგეობის თანხმობით.
 - 8.3.14 ახდენს კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში საზოგადოების გაერთიანების საკითხის ინიცირებას და ამის შესახებ აცნობებს გამგეობის წევრებს.
 - 8.3.15 ნიშნავს და ათავისუფლებს პროექტების კოორდინატორებს, საზოგადოების თანამშრომლებს.
 - 8.3.16 გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას.
 - 8.3.17 გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თვეში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს გამგეობას.
 - 8.3.18 ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.
- 8.4 დირექტორი გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს ერთპიროვნულად, საჭიროების შემთხვევაში წერილობითი გადაწყვეტილებების (ბრძანებების) სახით.
- 8.5 დირექტორის მოადგილეები ასრულებენ მის დავალებებს; დირექტორის დავალებით ხელმძღვანელობენ საზოგადოების საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს; მისი არ ყოფნის, ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორს შეუძლია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით, უფლებამოსილებების განხორციელება გადაანდოს როგორც 1 მოადგილეს სრულად, ისევე ცალკეული უფლებამოსილებები გადაანდოს მოადგილეებს ცალ-ცალკე.

9. მუხლი. საზოგადოების ქონების ფორმირების წესი

9.1 საზოგადოების ქონება იქმნება:

- 9.1.1 გრანტებით, შემოწირულობით და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით;
- 9.1.2 სხვა წყაროებიდან, რომლებიც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით.

9.2 საზოგადოების ქონება გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნებისათვის.

9.3 საზოგადოების მიღებული მოგება ხმარდება საზოგადოების მიზნების რეალიზაციას.

10. მუხლი. საზოგადოების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

- 10.1 საზოგადოების რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით.
- 10.2 საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:
- 10.2.1 მიზნის მიღწევისას, გაკოტრებისას ან რეგისტრაციის გაუქმებისას;
 - 10.2.2 გამგეობის გადაწყვეტილებით;
 - 10.2.3 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 10.3 საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებს საზოგადოების დირექტორი, ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი.
- 10.4 საზოგადოების ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. მუხლი. წესდების დებულების ბათილობა და ძალაში შესვლა

- 11.1 წინამდებარე წესდების რომელიმე დებულების ბათილობა არ გამოიწვევს მთელი წესდების ბათილობას. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც წესდებაში რაიმე ხარვეზი იქნება დადგენილი.
- 11.2 ბათილი დებულების ნაცვლად ან ხარვეზის შესავსებად გამოყენებული უნდა იქნეს ის შესაბამისი ნორმები, რომელიც უფრო ახლოა საზოგადოების წევრების ნებასთან, აგრეთვე შეესაბამება წესდების არსსა და მიზანს.
- 11.3 წესდება ძალაში შედის საზოგადოების კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის მომენტიდან.